

დამტკიცებულია  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერის 2019 წლის \_\_\_\_\_ სექტემბრის  
N\_\_\_\_\_ ბრძანებით

### საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო განაცხადის შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
  - 1.1 პროექტის აქტუალობა (რამდენად პასუხობს დარგის განვითარების მოთხოვნილებებს, საზოგადოების ინტერესს. რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე):
    - 1.1.1 აქტუალურია **8 -10 ქულა;**
    - 1.1.2 ნაკლებად აქტუალურია **7 ქულამდე.**
  - 1.2 პროექტის დამატებითი შესაძლებლობები / გენერირების უნარი (მოახდინოს გენერირება, ზეგავლენა, სხვა სამიზნე პროცესების - ქალაქისათვის, რეგიონისათვის. სფეროს, დარგის, ფინანსურ შემოსავლებზე, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე და სხვა):
    - 1.2.1 მაღალი **8 -10 ქულა;**
    - 1.2.2 ნაკლებად **7 ქულამდე.**
  - 1.3 სპორტული ღონისძიების გავლენა (ლიცენზიის მოპოვება - მაღალი რანგის ტურნირში მონაწილეობის უფლება / რეიტინგის მინიჭების სტატუსი / საქართველოს ნაკრების დაკომპლექტების სტატუსი / ადგილობრივი სპორტსმენების ხელშეწყობა ან სხვა):
    - 1.3.1 მაღალი (კალენდარი/ლიცენზიის მოპოვება / რეიტინგის მინიჭების) **8 -10 ქულა;**
    - 1.3.2 დამაკმაყოფილებელი (საქართველოს ნაკრების დაკომპლექტების) **6 - 7 ქულა;**
    - 1.3.3 საშუალო **5 ქულამდე.**
  - 1.4 სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე ქვეყანათა რაოდენობა:
    - 1.4.1 მაღალი (11 და მეტი ქვეყანა) **8 -10 ქულა;**
    - 1.4.2 საშუალო (7 – 10 ქვეყანა) **6 - 7 ქულა;**
    - 1.4.3 დაბალი (6 და ნაკლები ქვეყანა) **5 ქულამდე.**
  - 1.5 სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე (უცხოელი):
    - 1.5.1 მაღალი (50 - ზე მეტი უცხოელი მონაწილე) **8 -10 ქულა;**
    - 1.5.2 საშუალო (35 - 50 უცხოელი მონაწილე) **6 - 7 ქულა;**
    - 1.5.3 დაბალი (35 - მდე უცხოელი მონაწილე) **5 ქულამდე.**
  - 1.6 ღონისძიებაში მონაწილე სპორტსმენთა მიღების / ლოგისტიკის ხარჯები. მათ შორის:
    - 1.6.1 ტრანსფერი (ორივე მიმართულებით - ბათუმამდე და უკან...):
      - 1.6.1.1 გაიღებს ღონისძიების მონაწილე **9 - 10 ქულა;**
      - 1.6.1.2 გაიღებს ღონისძიების ორგანიზატორი **8 ქულამდე;**
    - 1.6.2 სასტუმრო ხარჯი:
      - 1.6.2.1 გაიღებს ღონისძიების მონაწილე **9 - 10 ქულა;**
      - 1.6.2.2 ღონისძიების ორგანიზატორი **8 ქულამდე;**
    - 1.6.3 კვების ხარჯი:
      - 1.6.3.1 გაიღებს ღონისძიების მონაწილე **9 - 10 ქულა;**
      - 1.6.3.2 გაიღებს ღონისძიების ორგანიზატორი **8 ქულამდე;**
  - 1.7 კონკურსანტის / პროექტის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული პროექტების გამოცდილება
    - 1.7.1 მაღალი **8 -10 ქულა;**
    - 1.7.2 ნაკლებად **7 ქულამდე.**

1.8 განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა / პრიორიტეტებთან შესაბამისობა 10 ქულამდე;

1.9 მერიიდან მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობის შეფასება 10 ქულამდე.

2. საბოლოო შედეგები განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით.

### შენიშვნა:

#### პრიორიტეტების განმარტებები:

1. მერიის/კონკურსის პრიორიტეტია - ქალაქის პოპულარიზაციის, რეკლამირების უზრუნველყოფი ისეთი ღონისძიებების შერჩევა, რომელთაც გააჩნიათ, ტურისტის/ვიზიტორის მიზმის დიდი შესაძლებლობები... მიზიდულობის, მაგნიტიზმის მაღალი იმპულსი, რესურსი, პოტენციალი... რაც განაპირობებს ფინანსურ შემოსავლებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დარგობრივ თუ ტურისტულ დივიდენდებს. სწორედ, ასეთი ღონისძიებების შერჩევა არის მერიის პრიორიტეტი;

2. პრიორიტეტები შედგენილია იმგვარად, რომ დაეხმაროს აპლიკანტს თუ როგორი ხასიათის, დანიშნულების, ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერას, ხელშეწყობას ანიჭებს უპირატესობას მერია. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ, ერთერთი ყველაზე წარმატებული ღონისძიების ა(ა)იპ "საჭადრაკო კლუბი ნონას" საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი" **საკვანძო მახასიათებლებს:**

2.1 მაღალი სტატუსი: "A" კატეგორიის ტურნირი / ტარდება მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით / წესების დაცვით;

2.2 საერთაშორისო რეიტინგები - მონაწილეებს ენიჭებათ რეიტინგები. ყოველ წელს სრულდება მინიმუმ 5 სხვადასხვა ფიდეს მაღალი საერთაშორისო წოდება და ნორმა;

2.3 ხანგრძლივობა - 10 სატურნირო დღე / 10 დამოუკიდებელი ტურნირი (დასწრების ხანგრძლივობა 15 დღემდე). მათ შორის:

- ✚ A ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 2200 და მეტი, აგრეთვე ფიდეს წოდებიანი მოჭადრაკეები: GM IM, FM , WGM, WIM, WFM,);
- ✚ B ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 2200-ზე ნაკლები, აგრეთვე ყველა მსურველი);
- ✚ C ღია ტურნირი (ფიდეს რეიტინგი 1600-ზე ნაკლები, აგრეთვე ყველა მსურველი);
- ✚ 12 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის (2005 წ და შემდეგ დაბადებულნი);
- ✚ 12 წლამდე ასაკის გოგონებს შორის (2005 წ და შემდეგ დაბადებულნი);
- ✚ 10 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის (2007 წ და შემდეგ დაბადებულნი);
- ✚ 10 წლამდე ასაკის გოგონებს შორის (2007 წ და შემდეგ დაბადებულნი);
- ✚ 8 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის (2009 წ და შემდეგ დაბადებულნი);
- ✚ 8 წლამდე ასაკის გოგონებს შორის (2009 წ და შემდეგ დაბადებულნი);
- ✚ ღია ბლიც ტურნირი.

2.4 ფესტივალში მონაწილე სუბიექტთა რაოდენობა - 19 ქვეყნის 500-ზე მეტი (შარშან - 400) მაღალი დონის მოჭადრაკე (8-12 წლის/გოგონები+ბიჭები);

2.5 მიზიდველობა / ტურისტის / ვიზიტორის მიზმის პერსპექტივა - გარდა 500-ზე მეტი მონაწილისა, მათი ასაკიდან გამომდინარე (8 - 10 - 12 წ. გოგონები და ბიჭები), უშუალოდ, ტურნირზე დასასწრებად ბავშვების თან ახლავთ მშობლები (ზოგს - დედამამისშვილებიც, მცირეწლოვანი ასაკიდან გამომდინარე). ამრიგად, უშუალოდ ტურნირის მონაწილეთა და სტუმართა საერთო რაოდენობამ, სასტუმროს დაჯავშნაზე მოთხოვნის გათვალისწინებით, შეადგინა - 1 200-ზე მეტი ტურისტი/ვიზიტორი...;

2.6 მონაწილეობის საფასური - 80 ლარამდე ( შემოსავალი - 25 000 ლარამდე);

2.7 სპორტული ტურიზმის შესაძლებლობები - ყველა ხარჯი (ტურისტული პროდუქტებით მომსახურებისა - სასტუმრო, კვება, ექსკურსიები... და ა.შ.), როგორც ტურნირის მონაწილეებისა, ასევე, ტურნირის ვიზიტორებისა ხორციელდება მათივე საკუთარი ფინანსებით...;

**2.8 გენერირების უნარი/შესაძლებლობები** - ფინანსური თვალსაზრისით, სხვადასხვა მონაცემებით, საშუალოდ ერთ ტურისტის მიერ დახარჯული დღიური თანხა შეადგენს 120 – 180 ლარს და მეტს (ზოგიერთი მონაცემებით -150\$-მდე - სასტუმრო, კვება, გადაადგილება, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და სხვა ტურისტული მომსახურების მიღება. ამაში არ შედის საყიდლებზე გაწეული ხარჯი...) ანუ უშუალოდ ამ ტურნირთან მიმართებაში, ფესტივალი იძლევა დაახლოებით 250 000 - ზე მეტი ლარის გენერირების საშუალებას ქალაქისათვის, რეგიონისათვის, ქვეყნისათვის;

**2.9 პროექტის პროდუქტიულობა, სარგებლიანობა, შედეგიანობა** - ტურნირის დაფინანსება (მერიიდან) შეადგენს 80 000 ლარს (ძირითადად, ტურნირის VIP პერსონების ლოგისტიკის ხარჯი + ფულადი ჯილდოები), ხოლო შემოსავლები 250 000 ლარზე მეტი ანუ პროექტის პროდუქტიულობა, მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით შეადგენს 200 000 ლარზე გაცილებით მეტს ანუ 2 -ჯერ მეტს, ვიდრე დანახარჯი, ასევე, გასათვალისწინებელია:

- პოლიტიკური დივიდენდები, უმაღლესი შეფასებები, რომელიც კეთდება საერთაშორისო უწყებების მიერ...;
- ეკონომიკური ინტერესი / ფინანსური სარგებელი, გენერირებადი შემოსავლები...;
- საერთაშორისო სპორტული აღიარება (მსოფლიო მასშტაბით, ინდექსით, რეიტინგით);
- ტურიზმის (არამარტო სპორტული) განვითარების მძლავრი შესაძლებლობები, პირობები...;
- სხვა, ძალიან წონადი და მნიშვნელოვანი ფაქტორები ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციისა და რეკლამირებისათვის;

**2.10 ქალაქის პოპულარიზაცია / რეკლამირება** - უშუალოდ ტურნირის მონაწილეებისა და ვიზიტორების მხრიდან (1 200-ზე მეტი დაინტერესებული პირი), ხდება ბათუმის ღირსშესანიშნაობების (სურათების, ვიდეოების) განვრცობა, კომენტარები... სოციალური ქსელებით გამრავლება და თანაც რეკლამირება ქვეყნის ფარგლებს გარეთ...;

**2.11 მდგრადობა / პილოტური ხასიათი** - პროექტის ან მისი კომპონენტების გამეორება, განვრცობა შესაძლებელია გაცილებით დიდი მასშტაბებით, რაზეც არის კიდევ გათვლა... დაგეგმილია გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის და მაღალი სტატუსის ღონისძიების ორგანიზება, რაზედაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები;

**გამართული კომუნიკაცია - ტურნირის PR** კომუნიკაციის მაღალი ხარისხი/დონე, აუდიტორია, მასშტაბები მასობრივი საშუალებებით გაშუქების და პიარტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა, გამოყენებული სოციალური ქსელების რეიტინგულობა, მაგალითად: ტურნირის ყველა პარტიის პირდაპირი ტრანსლირება ხდებოდა მსოფლიოში ცნობილი საჭადრაკო საიტზე "[ChessBomb](http://view.livechesscloud.com/8fc71df0-7a4d-442d-82ad-9712fb172b84)"<http://view.livechesscloud.com/8fc71df0-7a4d-442d-82ad-9712fb172b84>, რომლის მარტო წევრთა რიცხვი - 20 მილიონს აჭარბებს. ასევე, ტურნირის პერიოდში საჭადრაკო კლუბი „ნონას“ ვებგვერდზე, ვიზიტორების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ბათუმის საჭადრაკო კლუბმა „ნონამ“, საქართველოში პირველმა გაუშვა ფესტივალის დროს, პირდაპირი/LIVE პროგრამის უახლესი ვერსიით პარტიების ტრანსლიაცია, რათა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ გულშემოტკივარს საშუალება ჰქონოდა პირდაპირ რეჟიმში ეხილა მისთვის საინტერესო პარტიები სახლიდან გაუსვლელად;